



საქართველო



ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულო

2100, ქ. ზუგდიდი, ზვიად გამსახურდიას გამზ. №45

GEORGIA, SAKREBULO OF ZUGDIDI MUNICIPALITY, №45 Zv.Gamsakhurdia av. ZUGDIDI, 2100

ქ.ზუგდიდი

07.12.2018 წელი

ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

განკარგულება №123

ქალაქ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მიერ პრივატიზებული უძრავი ქონების (მდებარე ქ. ზუგდიდი, თამარ მეფის ქუჩა) შემძენისათვის ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების დარღვევისათვის დასაკისრებელი პირგასამტეხლოსაგან განთავისუფლებაზე ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიისათვის თანხმობის მიცემის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 54-ე მუხლის პირველი პუნქტის „დ.ე“ ქვეპუნქტის, „მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზებას, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საპრივატიზებო საფასურის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის №669 დადგენილების მე-12 მუხლის მე-8 პუნქტის, ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიაში შემოსული ფ/პ ვახტანგ ცხადაიას 2018 წლის 2 აგვისტოს №11901/02 წერილის და ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიის 2018 წლის 9 აგვისტოს №02/9485 წერილის შესაბამისად, ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულომ მიიღო განკარგულება:

1. მიეცეს თანხმობა ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიას ქალაქ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მიერ პრივატიზებული უძრავი ქონების (2017 წლის 15 აგვისტოს ქალაქ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების (პირობებით) ნასყიდობის ხელშეკრულება №1) ქ.ზუგდიდი თამარ მეფის ქუჩაზე მდებარე 574 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი: 43.31.62.278) შემძენის ფ/პ ვახტანგ ცხადაიას (პირადი №19001012292) ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების დარღვევისათვის დასაკისრებელი პირგასამტეხლოსაგან განთავისუფლების შესახებ 2018 წლის 15 აგვისტოდან 2019 წლის 15 აგვისტომდე.
2. მიღებული განკარგულება გადაეგზავნოს ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიას.
3. განკარგულება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.
4. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში ზუგდიდის რაიონულ სასამართლოში (მისამართი ქ. ზუგდიდი რ. ლალიძის ქუჩა №12)

საკრებულოს თავმჯდომარის

მოვალეობის შემსრულებელი:

ბესიკ ჭყეია